ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი
(ს/ნ: 204553937)
თბილისი, ვაკის რაიონი, ბესიკ
ბურკიაშვილის I ჩიხი N6, სართული 2
0322 11 20 26

21 აგვისტო, 2025

 # MDF-COR-079

Re: პასუხი წერილზე # 00013367
(08/08/2025)

ანტიკორუფციული ბიუროს უფროს
რაჟდენ კუპრაშვილს

ბატონო რაჟდენ,

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ჩაგვბარდა თქვენი წერილი #00013366, რომლის შინაარსის თანახმადაც, ითხოვთ, წარმოვადგინოთ გარკვეული ინფორმაცია/დოკუმენტაცია და „განმარტებები". თქვენივე განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველია საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი" და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2025 წლის 31 მაისის N10 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის ადმინისტრირების და აღსრულების წესის" (შემდგომში: "აღსრულების წესი") მე-20 მუხლი და 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ჩვენთვის ბუნდოვანია, თუ რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით არის აღნიშნული წერილი გამოგზავნილი და რა სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა იქ დაყენებული მოთხოვნები, თუმცა, ვვარაუდობთ, რომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, თქვენი წერილი, როგორც ჩანს, თქვენივე მიღებული „აღსრულების წესის" 22-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ე.წ. მოკვლევის წერილს წარმოადგენს. ამასთან, წერილი სრულად, მათ შორის, მოთხოვნის ნაწილში, არის უკანონო, რის გამოც მასში გაჟღერებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება არ გაგვაჩნია.

აღნიშნულის მიუხედავად, ანტიკორუფციული ბიუროს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ინსტიტუციური პატივისცემის გათვალისწინებით, ისევე, როგორც საზოგადოების ინფორმირების მიზნებისთვის, აუცილებლად მივიჩნევთ, განვმარტოთ ჩვენი პოზიცია ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ კანონის თვითნებური ინტერპრეტაციისა და აღსრულების პროცესში მის მიერ საკუთარი უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე.

1. ორგანიზაციის შესახებ:

ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი", 2008 წლის აპრილში, პროფესიონალ ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ დაფუძნდა.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

a. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა;
b. ეთიკური ჟურნალისტიკისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების განვითარება;
c. მედიაწიგნიერების ამაღლება;
d. ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების ხელშეწყობა;
e. მრავალფეროვანი და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობა;
f. გენდერული თანასწორობის დაცვის სტანდარტის ამაღლება;
g. ახალგაზრდული ინიციატივების და სამოქალაქო აქტივიზმის მხარდაჭერა.

მედიის განვითარების ფონდი ეწევა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის, სხვადასხვა სახის ტრენინგების, შეხვედრების, საჯარო დისკუსიების, შემოქმედებითი კონკურსების ორგანიზების გზით. ასევე, ორგანიზაცია გამოსცემს სასწავლო და პროფესიულ ლიტერატურას, აწარმოებს მედია პროდუქციას და საგანმანათლებლო კამპანიებს.

„მედიის განვითარების ფონდის" მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას; ღია, ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას; სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის გავრცელებას; კრიტიკული აზროვნების განვითარებას; მედიის გაცნობიერებულ მოხმარებას; მედიის პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებას; მედიის ანგარიშვალდებულების სისტემების, თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრებას; საზიანო და ცრუ ინფორმაციის იდენტიფიცირებასა და წყაროთა გამჭვირვალობის ხელშეწყობას, რათა საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედად მიგვაჩნია.

ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ყალბი და რეალური ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა. ჩვენი საქმიანობა საზოგადოებას უფრო მედეგს ხდის და აღჭურვავს იმ უნარებით, რომლებიც ეხმარება მას ყალბი ინფორმაციის რეალურისგან გარჩევაში.

„მედიის განვითარების ფონდი" დაჯილდოებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიერ და მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო ჯილდო გაწეული საქმიანობისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია ემსახურება საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს და ის განუხრელად იცავს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, რომელიც შესაბამისობაშია კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან. ამასთან, ორგანიზაციის საქმიანობა სრულ თანხვედრაშია არა მხოლოდ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, არამედ (ანტიკორუფციული ბიუროს

საქმიანობისგან განსხვავებით) თანამედროვე, დემოკრატიულ საზოგადოებაში, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

2. საქმისწარმოების შეფასება

თქვენ მიერ, პრეიუდიციულად, უცხოური დაფინანსების მიღების უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებასთან გაიგივება და ბუნდოვანი სამართლებრივი შინაარსის მქონე „ინსპექტირების" დაწყება არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი კრიტიკული განცხადებების, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელის საერთაშორისო ღონისძიებებზე და საქართველოს მედიაში გაკეთებული განცხადებების გამო, ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ რეპრესიების ახალ ეტაპზე მეტყველებს და მიზნად ისახავს საზოგადოებაში კრიტიკული აზრის ჩახშობას, ქვეყანაში დემოკრატიულ უკუსვლის კრიტიკული შეფასებების გამო ჩვენი ორგანიზაციის დასჯას, მის თანამშრომლებზე შურისძიებასა და ორგანიზაციის საქმიანობის უკანონო შეჩერებას.

როგორც უკვე აღინიშნა, „მედიის განვითარების ფონდის" საქმიანობა, რომლისთვისაც ორგანიზაცია ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების და სხვა დასავლური დონორების დაფინანსებას იღებს, ემსახურება მხოლოდ და ექსკლუზიურად საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს და თანხვედრაშია კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცხადებულ მიზნებთან. მაგალითად:

- ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მედიაწიგნიერების პროგრამა, საქართველოს კანონმდებლობით[1], ეროვნული სასწავლო გეგმით[2], საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიითა[3] და პოლიტიკის სხვა დოკუმენტებით, პრიორიტეტულად მიჩნეული მედიაწიგნიერების სწავლების ხელშეწყობას და საზოგადოების მედეგობის გაძლიერებას ემსახურება.
- „მედიის განვითარების ფონდის" მედიაწიგნიერების პროგრამების ბენეფიციარები საქართველოს მოქალაქეები – ახალგაზრდები (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები) პედაგოგები, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამის მონაწილე სტუდენტები, ასევე, მედიაწიგნიერების პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მარეგულირებელი უწყების – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ტრენერები არიან. მხოლოდ 2017-2025 წლებში ჩვენს მედიაწიგნიერების ტრენინგებში 5000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, აქედან 4000-მდე ახალგაზრდა და 1000-მდე მასწავლებელი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ჩვენ აკადემიურ სივრცეში 2019 წლიდან დავნერგეთ, 150-მდე კურსდამთავრებული ჰყავს.

[1] იხ.: „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/3980145?publication=0
[2] ეროვნული სასწავლო გეგმა https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo
[3] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, „საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია – 2024-2027," დეკემბერი, 2023, https://tinyurl.com/ymm6rzsv

- ჩვენ მიერ მომზადებული საგანმანათლებლო რესურსები აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის (სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, პროფესიული ორგანიზაციები) მედიაწიგნიერების სწავლებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია, რაზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით შექმნილ ვებ-პორტალზე განთავსებული ჩვენი სახელმძღვანელოებიც მეტყველებს.[4] უფრო მეტიც, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავებულ სახელმძღვანელოში "მედიაწიგნიერების გაკვეთილები",[5] რომელიც ფორმალურ განათლებაში აღნიშნული საგნის ინტეგრირებას ისახავს მიზნად, ჩვენს მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები გამოყენებულ ლიტერატურაშია რეფერირებული.
- პანდემიის დროს, კოვიდ-19-ის პრევენციასა და რეაგირების პროცესში, ჩვენი ორგანიზაცია, კომუნიკაციის ეროვნულ კომისიასთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში[6] სკოლებში[7] მედიაწიგნიერების აქტივობებს ახორციელებდა, რა დროსაც საქართველოს 30 ქალაქში 900 სკოლის მოსწავლე, 118 პედაგოგი და 140 მშობელი დავატრენინგეთ, ხოლო პედაგოგები მედიაწიგნიერების სასწავლო რესურსებით აღვჭურვეთ.
- პანდემიის დროს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეაგირების შესუსტების მოტივით არსებულ ინფოდემიასთან გამკლავების მიზნით, „მედიის განვითარების ფონდი" დაავადებათა კონტროლის ცენტრთან და ჯანდაცვის სისტემის სხვა წარმომადგენლებთან ინფორმაციის გაცვლის კუთხით თანამშრომლობდა, რაც საზოგადოების დროულ და სწორად ინფორმირებას ისახავდა მიზნად.
- დეზინფორმაციასთან ბრძოლა, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე ჰიბრიდულ საფრთხეებთან, ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ პოლიტიკის დოკუმენტებშიც[8] არის აღიარებული. ამ მიმართულებით საქმიანობა კი ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირებას, გამოვლენას, გამოყენებული მეთოდების ანალიზს და საზოგადოების ინფორმირების გზით მისი მედეგობის განმტკიცებას უწყობს ხელს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები და გამოძიებები[9], არა მხოლოდ მტრული სახელმწიფოს მიერ წარმოებულ საინფორმაციო ომს ამხელს, არამედ ადგილობრივი აქტორების მიერ წარმოებულ კოორდინირებულ არაავთენტურ ქცევასაც იკვლევს, რომლის მიზანიც ქართული საზოგადოების ინფორმირება და საინფორმაციო სივრცის მავნე ზეგავლენებისგან დაცვაა, რათა მოქალაქეებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცეთ.

---

[4] იხ.: https://el.ge/partners/19
[5] იხ.: https://bit.ly/4mnoH7q
[6] იხ.: https://bit.ly/3Uwwq75
[7] იხ.: https://bit.ly/4mPxOxJ
[8] „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია" 2021-2025, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/msnzd934, ივლისი, 2024; ასევე, იხ.: „საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია" - 2024-2027, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/ymm6rzsv
[9] იხ.: https://mdfgeorgia.ge/geo/library/

3. სამართლებრივი შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, მიგვაჩნია, რომ თქვენი წერილი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სამართლის ზოგად პრინციპებს. კერძოდ:

3.1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ კანონის საფუძველზე და ნორმათა იერარქია

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიას.

იმავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, "საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ."

იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, "თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი."

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად კი, რომლის სათაურიც არის „უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე":

„1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას."

მოცემულ შემთხვევაში, ქვემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, ნათელია, რომ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა დაარღვია ზემოთ ციტირებულ ნორმებში ასახული ნორმატიული აქტების იერარქიის, ურთიერთმიმართებისა და კანონიერების პრინციპები.

3.2. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის კანონქვემდებარე აქტისა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების უკანონობა

ე.წ. მოკვლევის წერილი უკანონოა, რადგან არც საკუთრივ საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და არც საქართველოს რომელიმე სხვა საკანონმდებლო აქტი არ ითვალისწინებს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის უფლებამოსილებას, გაუგზავნოს პირს ასეთი წერილი და მოითხოვოს მისგან "მოკვლევის წერილში" მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია და განმარტებები.

3.3. ე.წ. ინსპექტირების პროცედურას „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ არ ითვალისწინებს

„მოკვლევის წერილში“ მითითებული ტერმინი „ინსპექტირებაც“ კანონიერ საფუძველს მოკლებულია. ნიშანდობლივი და სიმპტომატურია, რომ „ინსპექტირების“ პროცედურის განხორციელების უფლებამოსილება საკუთარ თავს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა მის მიერვე მიღებული "აღსრულების წესით“ მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პროცედურას „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ საერთოდ არ იცნობს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია მხოლოდ ტერმინი „მონიტორინგი“, რომლის განხორციელების პროცედურა აღწერილია იმავე საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლში. ამასთან, აღნიშნული მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-6 მუხლი ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ იმ პირთან მიმართებით, რომელსაც ანტიკორუფციულ ბიუროში შეტანილი აქვს სარეგისტრაციო განცხადება. შესაბამისად, ასეთი მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს არ გააჩნია იმ პირის მიმართ, რომელსაც სარეგისტრაციო განცხადება შემოტანილი არა აქვს. სწორედ ასეთ პირს როგორსაც წარმოადგენს, მოცემულ შემთხვევაში, ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“.

3,4. სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა საკუთარ თავს თვითნებურად მიანიჭა

ვინაიდან კანონიერ საფუძველს არის მოკლებული „ინსპექტირების“ ინსტიტუტი, ცხადია, რომ ასევე უკანონოა „ინსპექტირების“ შედეგად შედგენილი „ინსპექტირების“ დასკვნაც. ასეთი უკანონო დასკვნის საფუძველზე ვერც კანონდარღვევის არსებობის ან არარსებობის ფაქტი შეიძლება იქნეს დადგენილი და, მით უმეტეს, ამგვარი უკანონო დასკვნა ვერ გახდება ანტიკორუფციული ბიუროს მიერ „რეგისტრაციის წარმოების დაწყების“ ან „რეგისტრაციის განცხადების წარდგენის დავალების“ საფუძველი, რასაც „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ ასევე არ ითვალისწინებს.

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ კონტექსტში, კანონი არ ანიჭებს ანტიკორუფციულ ბიუროს „ინსპექტირების“ არც ისეთ ცალკეულ კომპონენტებს, როგორებიცაა პირისგან „ინფორმაციის გამოთხოვა“, „მოკვლევის წერილის“ გაგზავნა, „პირის გამოკითხვა/დაკითხვას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე“ და „კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება“, რაც, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოცემული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის („აღსრულების წესის“) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა საკუთარ თავს მიანიჭა.

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა, ასევე უსაფუძვლოდ, შეუქმნა საკუთარ თავს სასამართლოსათვის „ყადაღის“ მოთხოვნით შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილებაც (იხ. „აღსრულების წესის“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სიტყვა „ყადაღა“ ან მისი რომელიმე ექვივალენტი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტში“ ნახსენები არ არის.

3.5. უკვე განხორციელებული ქმედების უკანონობის თაობაზე

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი - მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ორივე გარემოება:

a. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ქმედება - ჩვენი ორგანიზაციისთვის ე.წ. „მოკვლევის წერილის“ გამოგზავნა და ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა განხორციელებულია კანონმდებლობის, მოცემულ შემთხვევაში, „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ მოთხოვნების საწინააღმდეგოდ და სამართლის ზოგადი პრინციპების სრული იგნორირებით;
b. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ზემოაღნიშნული ქმედება, იწვევს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების - კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე, მე-17 და მე-15 მუხლებით უზრუნველყოფილი გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას, რაც, კონსტიტუციის იმავე მუხლების თანახმად, დაიშვება მხოლოდ კანონის შესაბამისად, აღნიშნულ მუხლებში მითითებული რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ ზომების გამოყენებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მათ შორის, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც) ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის თითოეულ დებულებას უნდა ჰქონდეს საფუძველი საკანონმდებლო აქტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი დებულება/აქტი ბათილია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ განხორციელებულ ქმედებას, ე.წ. „მოკვლევის წერილის“ შედგენასა და ჩვენთვის გამოგზავნას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

3.6. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მოსალოდნელი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების უკანონობა

რადგან "მოკვლევის წერილის" საფუძვლად ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს მის მიერვე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის („აღსრულების წესის“) 22-ე მუხლის პირველი პუნქტი აქვს მითითებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული უკანონო აქტის იმავე 22-ე მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტების შესაბამისად, შემდეგი ნაბიჯები იქნება სასამართლოსთვის მიმართვა ჩვენს წინააღმდეგ რეპრესიული მოქმედებების განხორციელების მოთხოვნით, აგრეთვე ე.წ. ინსპექტირების დასკვნის მომზადება და ამგვარის საფუძველზე ე.წ. რეგისტრაციის წარმოების დაწყება.

როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრივ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ „ინსპექტირების“ ინსტიტუტს საერთოდ არ ითვალისწინებს და არც ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების უფლებას იძლევა. შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა საკუთარ თავს თვითნებურად მიანიჭა ადმინისტრაციული ზემოქმედების კანონით გაუთვალისწინებელი უფლებამოსილება, რომელსაც ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ თავი შეიკავოთ ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ იმ სავარაუდო შემდგომი ზომების მიღებისგან, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც საკუთარ თავს თვითნებურად მიანიჭეთ.

3.7. ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდის მიმართ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ არ ვრცელდება

ამასთან, გვსურს განვმარტოთ ჩვენი პოზიცია იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა „მედიის განვითარების ფონდის“ მიმართ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული აქტი ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე არ ვრცელდება, რადგან ჩვენ შემთხვევაში არ არსებობს ის პირობები, რომლებიც დადგენილია „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ 1-ელი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება ჩაითვალოს პირი „უცხოური პრინციპალის აგენტად“. კერძოდ, აღნიშნული მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოური პრინციპალის აგენტია:

> „პირი, რომელიც მოქმედებს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი, ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით, ან იმ პირის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით და რომლის საქმიანობას მთლიანად ან უმეტესწილად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზედამხედველობს, მართავს, აკონტროლებს, აფინანსებს ან რომლის საქმიანობის სუბსიდირებას ახორციელებს უცხოური პრინციპალი, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
>
> გ.ა.ა) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობს;
>
> გ.ა.ბ) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოქმედებს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი;
>
> გ.ა.გ) იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან გასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას;

გ.ა.დ) იგი საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე."

კანონის ციტირებული ნორმებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს უცხოური პრინციპალის აგენტად, უნდა დამტკიცდეს, რომ სახეზეა შემდეგი ორივე პირობა:

a. პირი რომელიღაც „უცხოურ პრინციპალთან" გარკვეულ იერარქიულად დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია ან მისი თხოვნით მოქმედებს. კერძოდ, იგი:

- არის უცხოური პრინციპალის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული ან მის სამსახურში მყოფი პირი; ან
- მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით; ანდა
- არის „უცხოური პრინციპალის აგენტის" აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით და რომლის საქმიანობას მთლიანად ან უმეტესწილად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზედამხედველობს, მართავს, აკონტროლებს, აფინანსებს ან რომლის საქმიანობის სუბსიდირებას ახორციელებს უცხოური პრინციპალი;

b. ეს პირი:

- უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობს; ან
- უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოქმედებს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი; ან
- უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან გასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას; ანდა
- საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე.

გარდა ამისა, კანონის პირველი მუხლის „გ.ბ" ქვეპუნქტის თანახმად, „უცხოური პრინციპალის აგენტია" ისეთი პირიც, რომელიც თანხმდება, ნებას ავლენს ან უშვებს, რომ იმოქმედოს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, ან რომელიც თავს უცხოური პრინციპალის აგენტად მოქმედად აჩვენებს ან წარმოაჩენს.

ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი არ წარმოადგენს უცხოური პრინციპალის აგენტს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" არც „გ.ა" და არც „გ.ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე. კერძოდ:

- ჩვენი ორგანიზაცია ემსახურება მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებს, იგი დამოუკიდებელია საკუთარ საქმიანობაში და არ ჰქონია და არ აქვს ვალდებულება, შეასრულოს უცხოური პრინციპალის მითითებები, მოთხოვნები ან /და ინსტრუქციები და არ კონტროლდება უცხოური პრინციპალის მიერ;
- ჩვენი ორგანიზაცია არ არის რომელიმე უცხოური პრინციპალის აგენტი, წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული ან მის სამსახურში მყოფი პირი. იგი არც რომელიმე უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით მოქმედებს;
- ორგანიზაციას აქვს დადებული გრანტის ხელშეკრულებები საერთაშორისო დონორებთან, თუმცა, არცერთი აღნიშნული ხელშეკრულება არ მიუთითებს, რომ „მედიის განვითარების ფონდი ამ დონორებთან იმ ურთიერთობაშია, რომელსაც ითვალისწინებს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" პირველი მუხლის „გ.ა" ქვეპუნქტი;
- *ორგანიზაცია არ მონაწილეობს უცხოური პრინციპალის, მათ შორის, დონორების სასარგებლოდ ან მათი ინტერესების გამო რომელიმე ისეთ საქმიანობაში, რომელსაც განსაზღვრავს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" „გ.ა.ა - გ.ა.დ" ქვეპუნქტები.*

3.8. უცხოური გამოცდილება

ნიშანდობლივია, რომ ამერიკული FARA აშშ-ში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების მსგავს საქმიანობაზე არ ვრცელდება.

ამერიკული FARA-ს ვებ-გვერდზე, რომლის ასლსაც, „ქართული ოცნების" მთავრობის წარმომადგენელთა მტკიცებით, წარმოადგენს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი," მოიპოვება და ხელმისაწვდომია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განმარტებითი ბარათი, სახელწოდებით, „აგენტობის ფარგლები FARA-ს თანახმად" (The Scope of Agency under FARA).[10] აღნიშნულ განმარტებით ბარათში აღნიშნულია:

> „FARA-ს მიზანია არა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, არამედ იდენტიფიცირება იმ სიტყვისა, რომელიც (სამართლიანად) მიეწერება უცხოურ პრინციპალს, რათა მესიჯის შეფასებისას ამერიკულ აუდიტორიას შეეძლოს ინფორმაციის წყაროს გათვალისწინება. როგორც კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, „კონგრესს განსაკუთრებით აწუხებდა, რომ რეგისტრაციის მოთხოვნა არ ყოფილიყო გამოყენებული პოლიტიკურ საკითხებზე იმ მოქალაქეების შიდა დებატების ჩასახშობად, რომლებიც შესაძლოა თანაუგრძნობენ უცხოელების მოსაზრებებს, მაგრამ არ ექვემდებარებიან უცხოური მხარის მითითებებს ან კონტროლს." *(Attorney Gen. of U.S. v. Irish People, Inc., 796 F.2d 520, 524 (D.C. Cir. 1986))*; ასევე იხ. *(H.R. Rep. No. 89-1470, გვ. 6 (1966))* (სადაც უარყოფილია მცდელობა [FARA-ს] რეგულირება შეეხოს ისეთ პირებს, რომლებიც რეალურად არ არიან უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები, თუმცა მათი ქმედებები შესაძლოა შემთხვევით სასარგებლო იყოს უცხო ქვეყნების ინტერესებისთვის — იმ პირობებში, როდესაც ეს ქმედებები წარმოადგენს მათი სიტყვის, პეტიციის ან შეკრების უფლების ჩვეულებრივ გამოხატულებას). FARA არ მოითხოვს

[10] https://www.justice.gov/nsd-fara/page/file/1279836/dl?inline=.

> რეგისტრაციას მარტო იმიტომ, რომ პირი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც მოაწყობს ან ემთხვევა უცხო ქვეყნის ან უცხო პირის ინტერესებს. [აშშ-ის კონსტიტუციის' პირველივე შესწორება (First Amendment) იცავს აშშ-ის მოქალაქეების უფლებას გამოთქვან ასეთი მოსაზრებები."
>
> „საბოლოო ჯამში, FARA-ს ფარგლებში აგენტობის ტესტი იმაში მდგომარეობს, [რათა გაირკვეს] „სამართლიანია თუ არა დასკვნის გამოტანა, რომ პირი დამოუკიდებლად კი არ მოქმედებს, უბრალოდ თავის საკუთარ შეხედულებებს კი არ გამოხატავს, არამედ მოქმედებს როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი ან მისი ალტერ-ეგო."

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ასეთი პოზიცია ასახულია მისივე ქმედებებში. „მედიის განვითარების ფონდის" მსგავსი ორგანიზაციები, რომელთა მრავალწევრიანი სიის მოყვანაც შეგვიძლია, არასდროს ყოფილან რეგისტრირებული უცხოური პრინციპალის აგენტებად.

ამ მკაფიო და ნათელი განმარტების კონტექსტში უცნაურად და არასერიოზულად გამოიყურება ის გარემოება, რომ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის „მოკვლევის წერილის" ფაქტობრივ საფუძვლებად მითითებულია დანართ N1-ში ჩამოთვლილი ბმულები, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას ასახავს.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ციტირებული განმარტებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენლების ის განცხადებები, რომლებიც ორგანიზაციის საწესდებო მიზნების მიღწევის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, გაკეთებულია სიტყვის, გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებების ფარგლებში და ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე უცხოური პრინციპალის ინტერესების გამოხატულებად ან პოლიტიკურ საქმიანობად მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე პირს, რომელსაც კანონი „უცხოურ პრინციპალად" მიიჩნევს, შესაძლოა მსგავსი შეხედულებები ან ინტერესები ჰქონდეს დემოკრატიის, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

სიტყვის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების, აგრეთვე სხვა კონსტიტუციურ უფლებებს ჩამორთმევის უფლება ანტიკორუფციული ბიუროს არ გააჩნია.

3.9. ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" არ მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენი ორგანიზაცია არ მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში რომელიმე უცხოური პრინციპალის, მათ შორის თავისი რომელიმე დონორის სასარგებლოდ ან ინტერესის გამო.

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" პირველი მუხლის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, ტერმინი „პოლიტიკური საქმიანობა" განმარტებულია, როგორც

> „პირის მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებული ან განსახორციელებელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, მიღებისკენ ან შეცვლისკენ, აგრეთვე ის საქმიანობა,

რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, მიდგომებიდან ან ურთიერთობებიდან გამომდინარეობს".

ხაზგასმით უნდა გავიმეოროთ ის, რაზეც უკვე მივუთითეთ – ჩვენი საქმიანობა მიზნად ისახავს ჩვენი ორგანიზაციის საწესდებო მიზნებისკენ სწრაფვას და ემსახურება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. კატეგორიულად ვემიჯნებით ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ან პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ ან საჯარო ინტერესების გატარებას. ბუნებრივია, ეს არ გულისხმობს ჩვენი ორგანიზაციის მონოპოლიას რომელიმე შეხედულებაზე, თუმცა, ჩვენი ორგანიზაციისა და ნებისმიერი სხვა პირის ინტერესებს შორის თანხვედრის შემთხვევაში, უარვყოფთ ყოველგვარ ინსინუაციებს, რომ „მედიის განვითარების ფონდი" მოქმედებს ნებისმიერი სხვა პირის კონტროლით ან/და მითითებით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ზუსტად იგივე კრიტერიუმით, რის გავრცელებასაც ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე ცდილობთ, შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს მთავრობის ან/და, საკუთრივ, ანტიკორუფციული ბიუროს დადანაშაულება უცხო/მტრული ქვეყნის აგენტობაში.

ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის" მიზნები, საქმიანობის ფორმები და სხვა ტიპის საორგანიზაციო საკითხები სრულად არის რეგულირებული ორგანიზაციის წესდებით და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ჩვენი საქმიანობა ნეიტრალურია „საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, მიღებისკენ ან შეცვლის" მიზნების მიმართ. ჩვენი საქმიანობა არასდროს გაცდენია გამოხატვის თავისუფლებითა და სხვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების ფარგლებს.

3.10. ჩვენ არ ვმოქმედებთ, როგორც რომელიმე უცხოური პრინციპალის საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი

ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი არ მოქმედებს, როგორც რომელიმე უცხოური პრინციპალის, მათ შორის, დონორის „საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი", „სარეკლამო აგენტი", „საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი" ან „პოლიტიკური მრჩეველი".

ეს ტერმინები განმარტებულია „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" პირველი მუხლის „ზ" – „ი" და „ნ" ქვეპუნქტებში. ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა არ შეესაბამება ამ ნორმებით განსაზღვრულ არც ერთ წინაპირობას.

3.11. უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ გამო საქართველოში ფულადი სახსრების მოძიება/გაცემა

ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას კავშირი არა აქვს კანონით განსაზღვრულ საქმიანობასთან. ჩვენი ორგანიზაცია, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო, საქართველოში არ მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან გასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას და არ წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე

3.12. ორგანიზაციას ნებელობა, იმოქმედოს, როგორც რომელიმე მისი დონორის აგენტმა

ჩვენი ორგანიზაცია ასევე არ პასუხობს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის"„გ.ბ" ქვეპუნქტის პირობას, რადგან მას არასდროს მიუცია ვინმესთვის თანხმობა, არ გამოუვლენია ნება და არ დაუშვია, რომ იმოქმედებს, როგორც რომელიმე უცხოური პრინციპალის, მათ შორის, ჩვენი ორგანიზაციის დონორის აგენტი. მას არასდროს უთქვამს, უჩვენებია ან წარმოუჩენია თავი, როგორც რომელიმე დონორის აგენტს.

„მედიის განვითარების ფონდს" არასდროს განუცხადებია თანხმობა, არ გამოუვლენია ნება და არ დაუშვია ან/და აუღია ვალდებულება, რომ იმოქმედოს, როგორც რომელიმე მისი დონორის აგენტმა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლავ ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი" ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდზე არ ვრცელდება და მას არ გააჩნია ვალდებულება, შეიტანოს განცხადება „უცხოური პრინციპალის აგენტად" რეგისტრაციის თაობაზე.

4. „მტკიცებულებების განადგურება"

თქვენი მტკიცება, რომ თითქოს ჩვენმა ორგანიზაციამ როდისმე გააკეთა განცხადება "მტკიცებულებების" განადგურების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან, ისევე, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში (მათ შორის, ანტიკორუფციულ ბიუროშიც), გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს ორგანიზაციაში დაცული ინფორმაციის განადგურება. მათ შორის, აღნიშნულს გვავალდებულებს საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ".

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობრივია თქვენი წინადადება, თქვენივე თქმით, უკვე განადგურებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ მტკიცებულება გახლავთ „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში აღასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს".

ამასთან, გაცნობებთ, რომ ყველა ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის შენახვის/წარდგენის ვალდებულებაც ორგანიზაციას აკისრია კანონმდებლობის საფუძველზე, წარდგენილია და ინახება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში.

შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა იგულისხმება წერილში აღნიშნულ „ფაქტებში". თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია „მტკიცებულებათა განადგურების" შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს და, უფრო მეტიც, გაუგებარია მისი ნორმატიული შინაარსი.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

იმედს ვიტოვებთ, ამომწურავად გავეცით პასუხი თქვენს წერილს და გაგაცანით ჩვენი პოზიცია საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

ამასთან, გვსურს შეგახსენოთ, რომ "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლის თანახმად, ძირითადი ამოცანა, რისთვისაც შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, არის ის, რომ ბიურომ თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ხელი შეუწყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ:

- შეწყვიტოთ რეპრესიული ღონისძიებები ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის" მიმართ, რაც, მიგვაჩნია, რომ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერებასა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების დევნას;
- თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოთ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ნებისმიერი დამატებითი კითხვის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, უყოყმანოდ დაგვიკავშირდეთ.

პატივისცემით

თამარ კინწურაშვილი

Besik Burkiashvili I Dead End #6,
Floor II
0179 Tbilisi, Georgia
info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com
0322 11 20 26
www.mdfgeorgia.ge